85
963 / 3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 20 (217) 20 ივლისი 1963 წელი

## შინაარსი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### განყოფილება პირველი

317. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ-განასა და საბჭოთა კავშირ-მალის შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმებების ოქმების რატიფიკაციის შესახებ.

318. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მთავრობის მიერ კუბის რესპუბლიკის მთავრობისათვის კრედიტის მიცემის თაობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

319. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. ა. კალამკაროვის დანიშვნის შესახებ.

320. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ნ. ა. ობოლენსკის დანიშვნის შესახებ.

321. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. დ. ლებედევის დანიშვნის შესახებ.

#### განყოფილება მეორე

322. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ პ. გ. სერგეევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

323. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი.-ვ. გ. ვესკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

324. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ი. პ. ვანაგის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

325. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცემენტის მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

326. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ დ. ა. ჯიოევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

…ვნული ბიბლიოთეკა

327. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. პრუშინსკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

328. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. ვანდენკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

329. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის უფროსი სერჟანტის მ. ვ. ასკეროვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

330. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

331. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჯ. რასულოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

332. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ორენბურგის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ოკტიაბრსკის“ მკრეჭელების ამხ. ა. ე. პოპოვას და ამხ. ნ. ი. ხოლოდის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

333. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გოდფრი ბოუენის მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

334. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რაზმელი ვ. ნ. რიბკინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

335. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. უ. ა. აბდურახიმოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**317** საბჭოთა კავშირ-განასა და საბჭოთა კავშირ-მალის შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმებების ოქმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი:

1963 წლის 4 მარტს აკრაში ხელმოწერილი ოქმი საბჭოთა კავშირ-განას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1960 წლის 4 აგვისტოს და 1961 წლის 4 ნოემბერს დადებული შეთანხმებებისა და

1963 წლის 15 აპრილს ბამაკოში ხელმოწერილი ოქმი საბჭოთა კავშირ-მალის შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1961 წლის 18 მარტს დადებული შეთანხმებისა და 1962 წლის 10 ოქტომბრის ოქმისა

**რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.

№ 1491-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**318** სსრ კავშირის მთავრობის მიერ კუბის რესპუბლიკის მთავრობისათვის კრედიტის მიცემის თაობაზე დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრედიტი მისცეს კუბის რესპუბლიკის მთავრობას, ხელმოწერილი მოსკოვში 1963 წლის 6 თებერვალს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.

№ 1494-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 319 სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. ა. კალამქაროვის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვართან ალექსანდრეს ძე **კალამქაროვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 13 ივლისი.

№ 1521-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 320 სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ნ. ა. ობოლენსკის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ობოლენსკი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 13 ივლისი.

№ 1522-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 321 სსრ კავშირის მინისტრად ამხ. ვ. დ. ლებედევის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვიქტორ დიმიტრის ძე **ლებედევი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 13 ივლისი.

№ 1523-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 322 პროფესორ პ. გ. სერგიევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პროფესორ პეტრე გრიგოლის ძე **სერგიევს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 5 ივლისი.
№ 1486-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 323 ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი.-ვ. გ. ვესკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იოჰანეს-ვოლდემარ გუსტავის ძე ვესკი დაჯილდოვდეს **შრომის** წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 5 ივლისი.
№ 1487-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 324 მწერალ ი. პ. ვანაგის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი იული პეტრეს ძე **ვანაგი** დაჯილდოვდეს **შრომის** წითელი **დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 6 ივლისი.
№ 1488-VI.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 325 ცემენტის მრეწველობის მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ცემენტის გამოშვების სიმძლავრეთა გადიდებასა და ათვისებაში და ცემენტის მრეწველობის ხელახლა ტექნიკურ აღჭურვაში თავდადებული შრომისა და მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“:

1. პეტრე ივანეს ძე მორდვინცევს — ქვემო ვოლგის სახალხო მეურნეობის საბჭოს სებრიაკოვის ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელების მემანქანეს;

2. თევდორე ივანეს ძე პერშინს — ჩრდილოეთ კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანა „ოქტიაბრის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანეს;

3. მიხეილ ანდრიას ძე სკოლოზდრეს — ლვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიკოლაევის ცემენტ-სამთო კომბინატის მბრუნავი ღუმელის მემანქანეს;

4. ვიქტორ ვასილის ძე ჩიბროვს — ვოლგისპირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვოლსკის ცემენტის ქარხანა „ბოლშევიკის“ მბრუნავი ღუმელების მემანქანეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.
№ 1489-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 326 მწერალ დ. ა. ჯიოევის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი დავით ანტონის ძე ჯიოევი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.
№ 1492-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 327 ამხ. ი. ა. პრუშინსკის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით კალინინგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იაკობ ანდრიას ძე პრუშინსკი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.
№ 1495-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 328 ამხ. ლ. ს. ვანდენკოს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით უკრაინის კომუნისტური პარტიის ლვოვის სასოფლო ოლქის კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლეონიდ სტეფანეს ძე ვანდენკო დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.
№ 1496-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 329 მილიციის უფროსი სერჟანტის მ. ვ. ასკეროვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს გამოჩენილი გამბედაობისა და მამაცობისათვის მილიციის უფროსი სერჟანტი მამედ ველი ოღლი ასკეროვი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 8 ივლისი.
№ 1497-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 330 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. მარსა დაშდი ყზი **ბადიროვას** — დიასახლისს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელი არჯევან-სარვანი;
2. ოლღა ნიკოლოზის ასულ **პაპცავას** — კოლმეურნეობა „ოტხარას“ წევრს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი;
3. თენზილე ზექერიეს ასულ **სურმანიძეს** — კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონი;
4. ჩინარ ალეკის ასულ **ტოროსიანს** — დიასახლისს, თეთრიწყაროს რაიონის სოფელი ბურნაშეთი;
5. ვართანუშ აკოფის ასულ **ტურშიევას** — მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, თეთრიწყაროს რაიონი;
6. თალიკო ჯონდოს ასულ **წურწუმიას** — დიასახლისს, ცხაკაიას რაიონის სოფელი თეკლათი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 9 ივლისი.

№ 1500-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 331 ამხ. ჯ. რასულოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჯაბარ **რასულოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 9 ივლისი.

№ 1509-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 332 ორენბურგის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ოქტიაბრსკის" მკრეჭელების ამხ. ა. ე. პოპოვას და ამხ. ნ. ი. ხოლოდის მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

მკრეჭელების სრულიად რუსეთის III კონკურსში ცხვრების ჩქაროსნული გაკრეჭის დროს მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევებისათვის და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკაში ცხვრების ჩქაროსნული გაკრეჭის მეთოდის აქტიური დანერგვისათვის ორენბურგის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ოქტიაბრსკის" მკრეჭელები:

1. ალექსანდრა ეგორის ასული პოპოვა და
2. ნიკოლოზ ივანეს ძე **ხოლოდი**

დაჯილდოვდნენ მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ივლისი.

№ 1515-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 333 გოდფრი ბოუენის მედლით „შრომითი მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

იმ დახმარებისათვის, რომელიც გაუწია სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მკრეჭელებს ცხვრების გაკრეჭის დიდმწარმოებლური მეთოდის დაუფლებაში, ახალი ზელანდიის მოქალაქე გოდფრი **ბოუენი** დაჯილდოვდეს მედლით **„შრომითი მამაცობისათვის"**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ივლისი.

№ 1516-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 334 რაზმელი ვ. ნ. რიბკინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეთა დაკავების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის რაზმელი ვასილ ნიკიფორეს ძე **რიბკინი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ივლისი.

№ 1517-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**335** ამხ. უ. ა. აბდურახიმოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ანდიჟანის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სასოფლო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. უსმან აბდურახიმის ძე აბდურახიმოვი დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1963 წლის 12 ივლისი.
№ 1519-VI.

## განყოფილება მესამე

## ც ნ ო ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

1963 წლის 30 ივნისს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ქ. მოსკოვის ლენინგრადის № 13 საარჩევნო ოლქში და ირკუტსკის ოლქის ანგარის № 176 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან:

ლენინგრადის № 13 საარჩევნო ოლქიდან—ამხ. ანასტასია ათანასეს ასული მაკაროვა, მოსკოვის ბისკვიტის ფაბრიკა „ბოლშევიკის“ დირექტორი;

ანგარის № 176 საარჩევნო ოლქიდან — ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კაჩალოვი, რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფს რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ცემენტის გამოშვების სიმძლავრეთა გადიდებასა და ათვისებაში და ცემენტის მრეწველობის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ცემენტის ქარხნების, სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო ინსტიტუტების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და მანქანათმშენებლობის საწარმოების 928 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 31 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 113, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 250, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 267 და მედლით „შრომითი წარჩინებებისათვის“ — 267 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

### უკრაინის სსრ

**სტარობეშევოს რაიონის შექმნა და ნოვოაზოვსკოეს რაიონის გაუქმება**

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა დონეცკის საოლქო ორგანიზაციების შუამდგომლობა და 1963 წლის 6 მაისის ბრძანებულებით დონეცკის ოლქის შემადგენლობაში შექმნა **სტარობეშევოს** რაიონი, რომლის ცენტრია ქალაქის ტიპის დაბა **სტარობეშევო.**

სტარობეშევოს რაიონის შემადგენლობაში შევიდა ამბროსიევკის, ვოლნოვახის, მარიინკას და ნოვოაზოვსკოეს რაიონების ტერიტორიის ნაწილი.

ამავე ბრძანებულებით გაუქმებულია დონეცკის ოლქის ნოვოაზოვსკოეს რაიონი და მისი ტერიტორია გადაეცა ვოლოდარსკოეს და ვოლნოვახის რაიონებს.

### ყაზახეთის სსრ

**მახამბეტის სასოფლო რაიონის ცენტრის გადარქმევა**

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით დასავლეთ ყაზახეთის მხარის გურიევის ოლქის მახამბეტის სასოფლო რაიონის ცენტრს სოფელ **იამანხალინკას** დაერქვა სოფელი **მახამბეტი.**